1 თუ რიცხვის წაკითხვაში გვხდება მილიარდი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რამდენნიშნა შეიძლება იყოს ეს რიცხვი?

ა) 7 ბ) 8 გ) 9 დ) 11

2 რომელ ნახაზზეა გაფერადებული წრის $\frac{1}{2}$ ნაწილი?



ა) ბ) გ) დ)

3 რიცხვი 2700012030 თანრიგის ერთეულების 10-ის ხარისხებზე ნამრავლების ჯამის სახით ჩაწერე ცარიელ უჯრაში

4 მოცემულ რიცხვში 23451272891264 ტრილიონების კლასის ციფრთა ჯამი მილიარდების კლასის ციფრთა ჯამზე:

ა) მეტია 3-ით ბ) მეტია 1-ით

გ) ნაკლებია 5-ით დ) ნაკლებია 4-ით

5 ნახაზზე მოცემულია რიცხვითი სხივი. რომელია A წერტილის შესაბამისი წილადი



ა) $1\frac{3}{11}$ ბ) $2\frac{5}{11}$ გ) $1\frac{1}{10}$ დ) $\frac{12}{11}$

LIVEWORKSHEETS

6 დაწერე ცარიელ უჯრაში იმ უდიდესი ორნიშნა ნატურალური რიცხვი, რომელიც რაიმე რიცხვის კვადრატია

7 შემოხაზე არასწორი უტოლობა:

ა) $\frac{1}{2} > \frac{3}{8}$

ბ) $\frac{2}{5} < \frac{7}{10}$

გ) $\frac{9}{20} > \frac{1}{2}$

დ) $\frac{5}{6} < \frac{6}{7}$

8 გიორგიმ წილადზე მათემატიკური მოქმედების შესრულების შედეგად მიიღო შემცირებული წილადი. ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედება შეეძლო შეესრულებინა მას?

ა) მრიცხველი გაზარდა 2-ით

ბ) მნიშვნელი შეამცირა 2-ით

გ) მნიშვნელი გაზარდა 2-ით

დ) მნიშვნელი შეამცირა 2-ჯერ

9 შემოხაზე არასწორი წინადადება:

ა) ორი არაწესიერი წილადის ჯამი ყოველთვის მეტია 1-ზე

ბ) ორი არაწესიერი წილადის ჯამი ყოველთვის არაწესიერი წილადია

გ) ორი წესიერი წილადის ჯამი ყოველთვის წესიერი წილადია

დ) წესიერი წილადი ყოველთვის 1-ზე ნაკლებია

LIVEWORKSHEETS

10 ნიკომ მილი გაჭრა ოთხ ტოლ ნაწილად, თითოეულის სიგრძე $\frac{87}{100}$ მეტრია. რა სიგრძის მილი გაუჭრია ნიკოს, თუ თითო გაჭრაზე იკარგება $\frac{1}{100}$ მეტრი?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

11 ნახაზზე გაფერადებულია ფიგურის $\frac{1}{8}$ ნაწილი, ფიგურის კიდევ რა ნაწილი უნდა გავაფერადოთ, რომ გაფერადებული იყოს მისი $\frac{1}{4}$ ნაწილი?



ა) $\frac{1}{7}$ ბ) $\frac{1}{8}$ გ) $\frac{3}{8}$ დ) 1

12 საბა აკვირდება გაჩერებაზე ავტობუსების მოძრაობას. №124 ავტობუსი ყოველ 10 წუთში მოდის გაჩერებაზე, №151 კი – 15 წუთში. ახლა ორივე ავტობუსი ერთდროულად მოვიდა გაჩერებაზე. 2 საათის განმავლობაში კიდევ რამდენჯერ მოვა ერთდროულად ეს ორი ავტობუსი საბას გაჩერებაზე?

ა) 1 ბ) 2

გ) 3 დ) 4

13 რამდენი სრული კილომეტრი და მეტრია 2250 მეტრში?

ა) 2 კმ და 250 მ ბ) 22 კმ და 50 მ

გ) 225 კმ დ) 2 კმ და 25 მ

14 პირველ 15 ნატურალურ რიცხვს შორის რამდენია ისეთი, რომელიც 2-ზე იყოფა, მაგრამ არ იყოფა 5-ზე?

ა) 14 ბ) 7

გ) 6 დ) 5

LIVEWORKSHEETS

15 პირველ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა 13 და ავიდა 5 მგზავრი. შემდეგ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავიდა 7 და ავიდა 12. ამის შემდეგ მგზავრთა რაოდენობა გაუტოლდა x-ს. დაწერე შესაბამისი ტოლობა და გამოთვალე რამდენი მგზავრია ავტობუსში ახლა, თუ თავდაპირველად ავტობუსში იყო 18 მგზავრი.

ამოხსნა დაწერე აქ: _____

პასუხი:

16 ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლია გამოსახულება: $5 \cdot (8 - b)$?

ა) $40 - 5 \cdot b$

ბ) $8 - 5 \cdot b$

გ) $40 \cdot b$

დ) $5 \cdot b - 40$

17 ტბაზე ერთნაირი ნავებით 96 ადამიანი სეირნობს. თითო ნავში ზის 1 მასწავლებელი და 11 მოსწავლე. სულ რამდენი მოსწავლე სეირნობს ნავით?

ამოხსნა დაწერე აქ: _____

პასუხი: _____

18 ცხრილის ყველა სვეტი პირველი სვეტის მიხედვითაა შევსებული. ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული რიცხვი:

a	1	2	4
$(1+a)^2$	4	9	

LIVEWORKSHEETS

19 მთელ სამუშაოს ხელოსანთა ჯგუფი ასრულებს 6 დღეში. თუ ჯგუფში ხელოსანთა რიცხვს გავზრდით, მაშინ ხელოსნებს მთელი სამუშოს შესასრულებლად დასჭირდებათ

ა) 6 დღეზე მეტი

ბ) 6 დღეზე ნაკლები

გ) 6 დღე

დ) 12 დღე

20 თუ კვადრატის გვერდის სიგრძეა 3 დმ, მაშინ ამ კვადრატის ფართობია:

ა) 3 დმ^2

ბ) 9 დმ

გ) 6 დმ^2

დ) 9 დმ^2

21 თუ წრეწირის რადიუსია 13 სანტიმეტრი, მაშინ რის ტოლია დიამეტრი?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

22 დააკვირდი ნახატს:



23 თუ გადავაადგილდებით უჯრიდან, სადაც კომპიუტერია, სამი ერთეულით ქვემოთ და ერთი ერთეულით მარჯვნივ, რომელ საგანთან აღმოვჩნდებით? შემოხაზე პასუხი.

ა) ღიმილაკთან ბ) ტელეფონთან

გ) მაკრატელთან დ) წიგნთან

24 სურათზე მოცემულია ერთ-ერთი საჭადრაკო პარტია:

ახლა სვლა არის თეთრი მხედრის, რომლის კოორდინატებია (f; 3). ეს მხედარი გადაადგილდა ორით მარცხნივ და ერთით ქვემოთ, რომელ უჯრაში აღმოჩნდება იგი? წარმოადგინე კოორდინატების საშუალებით.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

25 მოცემულია დებულებები:

I. **ბლაგვკუთხა სამკუთხედში ორი კუთხე ბლაგვია.**
II. **ბლაგვკუთხა სამკუთხედში ორი კუთხე მახვილია.**

ამათგან რომელი დებულებაა მართებული? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II

გ) ორივე დ) არცერთი

26 მოცემული ფიგურებიდან რომელ ორ ფიგურას აქვს ერთნაირი ფართობი?



ა) **A** და **B**; ბ) **B** და **C**; გ) **C** და **D**; დ) **A** და **D**.

LIVEWORKSHEETS

27 ერთი უჯრედის ფართობია 4 სმ². რის ტოლია გამუქებული ფიგურის ფართობი?



ა) 21 სმ² ბ) 20 სმ²

გ) 24 სმ² დ) 26 სმ²

28 ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ჩაიწეროს ცარიელ უჯრაში, რომ ფართობების სიდიდეები დალაგებული იყოს კლების მიხედვით.

14 დმ², [ ], 12 დმ²

ა) 130 სმ² ბ) 1300 მმ²

გ) 1300 სმ² დ) 13000 მმ²

LIVEWORKSHEETS

29

ცხრილით მოცემულია ერთ-ერთი სკოლის სამ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა:

მოსწავლეები

კლასი	რაოდენობა
I	25
II	15
III	30

ქვემოთ გამოსახული რომელი დიაგრამა შეიძლება გვიჩვენებდეს ამ მონაცემებს?

ა)



ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

30 სვეტოვან დიაგრამაზე გამოსახულია რამდენმა ადამიანმა მოინახულა გასულ შაბათ-კვირას ზოოპარკი და დაესწრო ცირკში წარმოდგენას:



დააკვირდი სვეტოვან დიაგრამებს, რომელი წინადადებაა სწორი?

ა) ცირკში წარმოდგენაზე დამსწრეთაგან ბავშვები 150-ით მეტნი იყვნენ ქალებზე

ბ) ზოოპარკში ქალები 100-ით ნაკლებნი იყვნენ კაცებზე

გ) ზოოპარკი მყოფი კაცები 50-ით მეტნი იყვნენ ცირკში სანახაობაზე მყოფ კაცებზე

დ) ცირკსა და ზოოპარკში მყოფ ბავშვების რაოდენობებს შორის სხვაობა 50-ზე მეტია

LIVEWORKSHEETS

31

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგრამა გვიჩვენებს ერთ-ერთი მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვს, თუ ამ მუზეუმის შესახებ ცნობილია, რომ

- 2012 წლამდე დამთვალიერებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, გარდა 2010 წლისა
- 2009 წელს რეგისტრირებული იყო დამთვალიერებლების რეკორდულად მაღალი რიცხვი

ა)



ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

33

დიაგრამზე მოცემულია ოთხი ოჯახის ერთი თვის შემოსავალი და დანახარჯი:



დიაგრამის მიხედვით რომელი ოჯახის დანაზოგია ყველაზე ნაკლები?

ა) I ოჯახის

ბ) II ოჯახის

გ) III ოჯახის

დ) IV ოჯახის

LIVEWORKSHEETS

ნახაზზე გამოსახულია სამი ფიგურა.



რომელია სწორი წინადადება?

ა) ყველაზე დიდი ფართობი ამ ფიგურებიდან აქვს მესამე ფიგურას

ბ) მეორე და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

გ) ყველაზე პატარა ფართობი აქვს მეორე ფიგურას

დ) პირველი და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

LIVEWORKSHEETS